№ 32 მთავრობის მოამგე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მეოთხე

ფასი 20 მან. პარასკევი, თებერვლის 11 1921 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამგე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 1-ლ გ. 15 მან. სამწელოვანი განცხ. ჩვეულებრივი ხუთის (15—20) 500 პ., განცხ. სამწოთების დაკარგვის შესახებ 200 მ. /სასმართლო. ბუღ. განცხადებანი 600 მ. ნაწილი განცხ. დაბეჭდვა ღირს ნაწილზე მეტი 20% ზედნადები და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83

სახელმწიფო თეატრი.

ოპერა.

პარასკევს, 11 თებერვალს

„ტაისი“

შაბათს, 12 თებერვალს ოპერა მეშვიდისთვის „ლალატი“, კვირას, 13 თებერვალს დილით ბავშვების დილა „კომპლიმენტი“, ორშაბათს, 14 თებერვალს განახლებით პირველად „გუგენორტი“.

დასაწყისი 8 საათზე. 6 1—1

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

ამის წლის თებერვლის 15-დან ქ. სურამში, სამსწავლებლო სემინარიასთან, ხსნის მასწავლებელთა მოსამზადებელ ოთხ-თვიან

პედაგოგიურ კურსებს

მსმენელებათ მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდანი, რომელთაც მიღწეული აქვთ განსაზღვრებული ასე ნაკლებ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ანუ პროგიმნაზიის ოთხი კლასისა. მსმენელთ მიეცემათ ბინა, საწოლი და ერთი ფუთი ბორპალი თვეში. მსურველნი 15 თებერვლამდის უნდა ჩაეწერონ სემინარიის დირექტორთან ქ. სურამში. 507 3—2

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სამაზრო საერობო ყრილობის ხმოსანთა არჩევნები მაზრაში

დანიშნულია

მიმდინარე წლის 6 მარტს

მაზრა გაყოფილია სამ საარჩევნო ოლქათ: ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის ოლქებათ; ქალაქი ოზურგეთი, თანახმად დროებითი საერობო დებულების დამატებისა წარმოადგენს ცალკე ოლქს.

საარჩევნო უბნათ ალიარებულია თვით, ხოლო ტერიტორიით ფართო და გეოგრაფიული მდგომარეობით განსაკუთრებულ პირობებში მყოფ თემებში საარჩევნო უბნები, გარდა თემის ცენტრისა, დაიდგება ზოგიერთ შორეულ სოფლებშიაც.

საარჩევნო სიები უკვე შედგენილი და გამოქვეყნებულია თემის გამგეობებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებათ დანიშნულნი არიან: ოზურგეთის ოლქში—ერობის ხმოსანი ივანე ლორტკიფანიძე, ჩოხატაურისაში ერობის ხმოსანი—იფონო ცინცაძე და ლანჩხუთისაში—ერობის ხმოსანი ნიკოლოზ წილოსანი.

41 3—2 ოზურგეთის მაზრის ერობის გამგეობა.

განცხადება

სალიკვიდაციო კომისია

არსებული აქციონერების მიერ, ამა 1921 წლის, 7 თებერვალს არა ჩვეულებრივ კრებაზედ, კავკასიაში ყოფილი ტყვეულობის და ჩუნეულობის წარმოებათა საქციონერო საზოგადოების

„გ. გ. ადელხანოვის“

საქმეების სალიკვიდაციოთ, იწვევს პირთ და დაწუხებულებთ, ვისაც აქვთ ხსენებულ საზოგადოებასთან რაიმე პრეტენზიები, მათ მოსაწერხოებლათ.

პრეტენზიების განცხადება კომისიისათვის შეიძლება ყოველ დღე, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე (ვორონცოვის ქ. № 82, ყოფილი მთავარი კანტორა საზოგადოებისა), ამა თებერვლის ბოლო რიცხვამდე, რის შემდგომ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნებიან.

სალიკვიდაციო კომისია.

42 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

8 თებერვალს, 1921 წ., № 29.

დანიშნის: თიანეთის მაზრის გადასახადთა ინსპექტორის კანცელარიის საქმის მწარმოებელი მიხეილ შოს ძე შამანოური თიანეთის უბნის გამომძებლის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. თებერვლის 8-დან.

იუსტიციის მინისტრი ს. ავსენიძე.

—

დენარკვევის დირექტორისა.

7 თებერვალი, 1921 წ., № 27.

განთავისუფლებულ თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამინისტროს კანცელარიის ბუხგალტერის თანაშემწე მარიან მარკოზის ასული ალექსიძისა ა. წ. თებერვლის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თ. ა. **ბიძგაძე.**

—

საბაჟოს ნაწილის უფროსისა.

12 იანვარი, 1921 წ., № 1.

დანიშნულია ბათომის **საბაჟოში:** ფოთის საბაჟოს ბუხგალტერის უმცროსი თანაშემწე ივანე ალექსის ძე ბერიაშვილი—ბუხგალტერის უმცროს თანაშემწედ თანამდებობის დროებით აღმასრულებლად. ა. წ. 10 იანვრიდან.

№ 2.

დაშვებული არიან ბათომის საბაჟოში: თამარა ჯიმშელიშვილი, მარგარიტა ჯუღელი, მარიამ კორძაია—დროებით კანცელარიის მოხელეების თანამდებობაზედ, როგორც ნებით დაქირავებულნი ა. წ. 1 იანვრიდან.

№ 3.

დათხოვნილია: ტფილისის საბაჟოს მდივანი რაფიელ იოსების ძე კანდელაკი საქსახურიდან, თანახმად თხოვნისა ა. წ. 1 იანვრიდან.

26 იანვარი, 1921 წ., № 4.

დანიშნულნი არიან ბათომის საბაჟოში:

ფოთის საბაჟოს მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი დავით იესეს ძე—მოლარის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; ალექსანდრე იაგორას ძე გუგუშვილი და მაგარატ ბეგის ძე არჩაია—დროებით კანცელარიის მოხელეებათ.

დათხოვნილი არიან იმავე საბაჟოში: დროებით კანცელარიის მოხელე თამარა ჯიმშელაშვილი სამსახურიდან, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

ზემოაღნიშნული პირნი დანიშნულ და დათხოვნილი არიან თავიანთ თანამდებობებზე ა. წ. 20 იანვრიდან.

28 იანვარი 1921 წ., № 5.

დანიშნულია სახელმწიფო ბანკში: გუდაუთის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი, როგორც ნებით დაქირავებული, ანტონ სახოკია—საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ბათომის საბაჟოში: სოხუმის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწე ცერცვაძე—ბუხგალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობაზე ს. დროებით აღმასრულებლად.

ზემო აღნიშნული პირნი დანიშნულ არიან თავიანთ თანამდებობებზედ ა. წ. 26 იანვრიდან.

№ 6.

გადაყვანილი არიან: ერთი მეორეს ადგილზედ: თანაშემდ თხოვნისა ბათომის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ თანამდებობის აღმასრულ. გიორგილ მესხი და ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე გიორგი გერასიმი ა. წ. 26 იანვრიდან.

31 იანვარი, 1921 წ., № 7.

დათხოვნილია: სრულიად სამსახურიდან, პახუხის გებაში მიეცემის გამო, ბათომის საბაჟოს ეკონომიურ ნაწილის თარჯიმანი მიხაილ ქუთათელაძე ა. წ. 13 იანვრიდან.

№ 8.

დანიშნულნი არიან ტფილისის საბაჟოში: იმავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე ნიკოლოზ ბოკერია—მდივნად; ქუთაისის საბაჟოს მოლარე ყარამან მგელაძე—მოლარედ.

ფოთის საბაჟოში: იმავე საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწე იღია რუხაძე—მდივნად. ზემო აღნიშნული პირნი დანიშნულ არიან თავიანთ თანამდებობებზე ს. წ. 11 იანვრიდან.

3 თებერვალი, 1921 წ., № 9.

დანიშნულია ბათომის საბაჟოში: სამხედრო ავადმყოფის სექციის ფაქტორტების სტუდენტ ვლადიმერ ისმაილის ძე გოგოლაშვილი—დროებით კანცელარიის მოხელეთა ა. წ. 1 თებერვლიდან.

№ 10.

დათხოვნილია: ფოთის საბაჟოს რეგისტრატორი იასონ თევზაძე—სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა ა. წ. 25 იანვრიდან.

გეპრომის შრომველთა სამინისტროს

საბაჟო ნაწილის უფროსი ბ. მოქაძე.

არა ოფიციალური განყოფილება.

შრომის სამინისტროსაგან

უცხო მუშათა მიგიდებს.

მუშათა მიგიდის წინასწარ გამოძებნისათვის დეფარტი ა. წ. თებერვალში თითეულ მუშა-მოსამსახურეს გათვალისწინებული აქვთ ათი ათასი (10.000) მან.

ყველა ტერძო და საზოგადო დაწესებულებანი და წარმომადენი, რომელნიც მუშათა მიგიდით თებერვალში ლებულობდნენ სურსათ-სანოვაგეს ვალდებული არიან შეიტანონ 20 თებერვლამდე აღნიშნული თანხა დაჭრილებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით, მუშათა მაგიდის სალაროში.

წარმოებათ და დაწესებულებათაო, რომელთაც თებერვლის რამოდენიმე დღის განმავლობაში არ მიუღიათ პური, შეძლებათ ფულის შეტანის დროს განაცხადონ ზემდე შეტანილ თანხის მომავალ დეფიციტის ანგარიშში გადაიტანებულ შესახებ.

შრომის მინისტრის ამხანაგი ალ. ხახატაური.

საქმეთა მმართველი ილ. გოლდმანი.

უცხოეთი

შეთქმულების აღმოჩენა.

თანახმათ „ტურნალ დე დებას“ ცნობისა ლონდონში კვლავ აღმოჩენილი შეთქმულება სიმფერიერებისა, რომელთაც სურდათ წაეყენებინა ბოლშევიკების დიდი სწყობისათვის. სამი სიმფერიერი დაიჭირეს სწორედ იმ დროს, როდესაც მათ ბოროტ-მოქმედების ჩადენა სურდათ. ერთ მათგანს იარაღი აღმოაჩნდა. შეტაკება ირლანდიელებსა და ინგლისის ჯარებს შორის კვლავ გრძელდება. შეტაკებას უფრო მწვავე ხასიათი აქვს ქალაქ კორკში. ბრძოლა შემთხვევები ინგლისელ ჟანდარმებზე თავდასხმისა.

უმუშევრობა ინგლისში.

19 იანვრამდე შრომის ბირჟაში 859,000 კაცი ითხოვა სამუშაოების მიღება. მდგომარეობა პროვინციაში მეტად გართულებულია. მრავალი ქარხანა იხურება, რაც ახალთახალ ზრდის უმუშევართა რიცხვს.

ანგორის მთავრობა.

თანაბმად სტამბოლიდან მოსული ცნობებისა ანგორის მთავრობას გადაუწყვეტია გადგომეს სიცოცხლე, თუ შეიძლება, თუ ესკი ზეხარი ბერძნებსა ანიეს.

ქმელისტების მოახოვნილება.

„ტურნალ დე დება“ იუწყება: ქმელისტებმა გადასწყვიტეს წარუდგინონ მოსკოვის კონფერენციას მოთხოვნილება, რათა მოლშევიკებმა დასტოვონ სომხეთი და აზერბაიჯანი.

მუშათა მდგომარეობა.

მუშათა ორგანიზაციების საერთო კრებაზე, რომელიც იხილავდა საერთოდ მუშებისა და ცხოვრო რა. გზელთა მატერიალურ მდგომარეობას, გაირკა საკითხი მუშათა გაფიცვის შესახებ. კრებამ, წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ, ერთხმად უარყო. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია შიმაჯულდღეება მოაბიანი ფოსტის მოსამსახურეებზე, რომლებმაც გადასწყვიტეს, უარეყოთ გამოცხადებული გაფიცვა და დაბრუნებოდეს მუშათას.

უკრაინის ლატარიები გალიციაში.

გალიციის პრესა იუწყება: ტარნოპოლში და ლემოსტელეთ გალიციის სხვა ქალაქებში სამუშაოთ უკრაინიდან 6.000 ლატარეიზე მეტი მოვიდაო. ლატოლეიელები გადმოგვცემენ იმ საშინელ წვეთ ტერორის შესახებ, რომელიც გამეფებულია მთელ უკრაინაში. ბრძოლა ავრეთვე გულთა ოჯახებშიც.

ჯარის შემცირება.

ამერიკის სენატმა წინააღმდეგ სამხედრო მინისტრისა, 24 ხმის უმრავლესობით მიიღო წინადადება ამერიკის ჯარის 200,000 კაცედან 150,000 კაცამდე შემცირების შესახებ. ამასთანავე თანხმად ჰარდინგის პროგრამისა განზრახულია ყოველ წლიურათ შესწეულ სამხედრო ხელოვნება 100.000 მოახლისეს.

რუსეთის განაპირა სახელმწიფოების საკითხი.

„ტურნალ დე-დება“ იუწყება: რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებმა პარიზში ერეკლი განრიგეს საკითხი იმ განპირა სახელმწიფოებისა, რომელნიც გამოეყვნენ რუსეთს. ამ საკითხის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეს გამოტანილ იქნენა რეზოლუცია, რომელშიაც თათბირის წევრები აღიარებენ, რომ განაპირა ერთეულებს აქვთ უფლება მოითხოვონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამასთანავე რეზოლუციაში გატარებულია ის აზრი, რომ ბალშევიზმის დამხობის შემდეგ ეს სახელმწიფოები შეადგენენ რუსეთის ფედერაციას.

„ტერორისტების განსახკვნი

ნიუ-იორკში პოლიციის დეპარტამენტმა მიიღო ცნობები, რომ ტერორისტები მზადდებიან სხვა და სხვა სახოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებების ასაფეთქებლად. ამის გამო ბალშევიკებს მკაცრ თვალ-ყურს აღევნებენ.

უსახო სახელმწიფოთა მისიებიდან.

ანგორის მისიიდან.

საქართველოში მყოფ ანგორის მთავრობის წარმომადგენლობაში ოფიციალურად ცნობის გამო აღძრულია საკითხი ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის ოსმალეთის მთავრობის საელჩოთ გადაკეთების შესახებ. ამის გამო ანგორიდან მოელინა სათანადო განკარგულებას.

სპარსეთის საკონსულოში.

ტფილისში მყოფმა სპარსეთის გენერალურმა კონსულმა სპარსეთის მთავრობის წინაშე აღძრა შემდეგ ვითარებასთან დაკავშირებით საკონსულოს რეორგანიზაციისა და საელჩოს დაარსების შესახებ. შემდეგ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულ ცნობის გამო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებაა.

მოსკოვიდან საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თავმჯდომარის გ. მახარაძისაგან ვიგარეო სამინისტროს პირდაპირ მიეთვალთო მიიღო შემდეგი დეპეშა:

საქართველოს წარმომადგენლობის ყველა წევრები ღრმათვითმეობით შეეგებენ საქართველოს იურიდიულად ცნობას. ულოცავთ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას ამ ისტორიულ ფაქტს და გვარწმუნებ, რომ საქართველო თავისუფალ ხალხთა თავისუფალ კავშირში იქნება ერთი მოწინავე მებრძოლთაგანი კაპიტალიზმის დიდი იდეალებისათვის.

— ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ქიაზიმ ბეიმ აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდალ ქიაზიმ ყარაბეკირისაგან მიიღო დეპეშა, რომაც იგი იტყობა ი. წ. თებერვლის 21 ს. მდგარეს თავმჯდომარეობით საქართველოს წარმომადგენლობის ანგორაში შეკიდნობისთან ბასვლის შესახებ.

რ. ს. ფ. ს. რ. წარჩინებული გ-ნი შეინთანი საკართველოს შესახებ.

გაზ. „სლოვოს“ თანამშრომელს საუბარი ჰქონია გ-ნ შეინმანთან; მოგვაყვა საუბრის შინაარსი შემოკლებით: „სიმარყოლით ეგებება რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას, რაც მომასწენ ვედელია რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის მნიშვნელოვან აქტის გამოკრკვებას, სავარო პოლიტიკის სფეროში. სამ წელს განმავლობაში ევროპას ბოლშევიკების რევოლიციის გამარჯვება ეთის ბეჭედი მაინც. მე მრწამს, რომ ევროპას პოლიტიკის ფრონტზე ამ გამოძის ბილს მოჭკნა ან ღა გამოხმირება და დ. ტ. ტ. ი. ეს ცალობა ეგ ომენინდ ნათლად მეჩვენება, რომ საქართველ ვილი ომისთვის საყურადღებო ფაქტზე შეჩერებას, როგორც არის ვინაკელის ლაპარაკი და ბაკოთვე ანტანტას დაპირებები, რომელიც მოწყდენილი იყო და მთელი სამი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა კონტრ-რევოლიციური ფრონტის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო საქართველოს და რუსეთს შორის ბაკლი ბაიფერს შეიტ ხნ, ოდესაღაც საქართველოდან მოვიდ დელოს. საბჭოთა რუსეთის მიერ უკრი ოდე ეკა ცნობილი. ჩვენს ბაჩით ეს აქტი უფრო ბევრ. შეეწყობა საქართველოს ბრძოლ ურთიერთობის დამყარებას. შემრწამს რომ ეს აქტი იქნება ფურო კარგი, რომ იგი ხელს შეეწყობს საქართველოს პოლიტიკის განმტკიცებას, რომლის საზღვრები თან ეხება საბჭოთა რუსეთს. და უფრო ეტ ნათობას თვის შეზობელ ხალხის მიმართ. სამეი იმაზია, რომ საქართველო ურუ-ურთობით ბისებიან მხოლოდ როგორც ფაქტი ერთი პეზლიტიკის თუ არ მხსოვს პოლიტიკოსის სიტყვით შესაძლო იყო ეს ფაქტი შეცდელ ყოფილიყო სულ სხვა ფაქტით. მხოლოდ ამ ეკვანთით შეიძლებოდა აგვეხსნა ის გარემოება, რომ საქართველო ყოველთვის მეზობელ სამეთოთა რუსეთ და საქართველოს შორის უნდა მეეწყობოდეს ანტანტას პოლიტიკას, რომელიც ყოველთვის ის ცდაში იყო თუ როგორ გეემეწვევინა რუსეთის მეშედებანი საქართველოს ტერიტორიაზე. მე მოვიყვანე ეს ილუსტრაცია მატას, რომ მეჩვენება თუ საქართველოს დამოკიდებულების იურიდიულად ცნობის შემდეგ რამდენადმე მეტად საბჭოთა რუსეთის ინტერესი დაცული იყო საქართველოში ვიდრე დღეს იყო. მე სრულიადაც არ ვეშვინ რომ საქართველოს ჯერ დიდი ბრძოლა დასჭირდება თავის იურიდიული სუვერენიტეტობის ფაქტად ხქცევის ღონისძიებე მრწამს, რომ საქართველო ამ მხრითაც გამარჯვებული გამოვა. საბჭოთა რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო თავისი სიკრცხოვრისო მდგომარეობა მალე განმატკიცოს, განსაკუთრებით ეს მიტომ არის საჭირო, რომ საქართველოს საშუალებით შესაძლებელი გახდეს ევროპასა და ამერიკასთან სავაჭრო დამოკიდებულების დაჭერა. რაც შეეხება სავაჭრო საქართველოს და რუსეთის ურთიერთობას ყველასთვის ცხადი რომ ეჭ ცოტაოდენად ჩვენი სჩქე გამოიკვეთებული.

ჩვენი სხვა და სხვა ზოგიერთ საკითხებში კარგანსელო შეხლებად ხნდა ჩაითვალოს 7 მაისის საზოგო ხელშეკრულობა, მაგრამ ამ დეკლარაციის და დაქმაყოფილებული გამოვალთ“.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

ლენინის თავდასხმის გარშემო.

უკანასკნელ დროს ევროპის გაზეთებში გახშირდა ხშირი ვითომ ლენინს თავს დასხმოდნენ და გზაზე მიმავალს ყუმბარა ესროლეთ. ზოგნი პირდაპირ ამტკიცებდნენ, მაგალითად როგორც ბურჟუი პარიზში, რომ ლენინი მოკვდა, და მის საკვლიას ასაბუთებდა იმით რომ მას მიეცა ცნობა ვინმე ცაჩკოვის საკვდილის შესახებ და ლენინი რევოლუციის და თავის მოღვაწეობის დასაწყისში კარგად ვიდვნინის ამტარებდა. მოსკოვიდან ჩამოსულებმა სიტყვით ლენინზე გავრცელებული ხმები მტანარი სიცრუე. ლენინი ისევე ჯანმრთელად და კარგად არის, როგორც აქამდის იყო.

ებრაელთა დარბევის გამო.

უკრაინაში ებრაელთა დიდი დარბევა მოხდა. ამან გამოიწვია ის რომ უკრაინიდან ევროპაში გადმეხვია სპეციალური მისია ებრაელის ხალხთა ლიგის წინ ამუშავდომლეს ებრაელთა ხალხის მიღებას ხალხთა ლიგაში. იმედნენ შეეიწროებელ მდგომარეობაში ჩაგვიდნენ ებრაელები რომ ეშრომელსობა გაიქცა პოლონეთში და ეს იქ შეიპყრა.

კრაინის განკაზედან.

ლონდონიდან მოსკოვში გამგზავრების დროს გზაზე ერთ-ერთ სტაციონზე გაჩერდა კორეს-პონდენტი ვიკის კრასინის განკუკანი რომ რუსეთ-ინგლისის შორის დადებული ხელშეკრულობა არ წარმოადგენს მტკიცე ნიადაგზე აგებულ კავშირს, კრასინის აზრით, სრულიად შეიძლებამი იქნება რუსეთ-ინგლისის შორის კომერციული ურთიერთობის თუ, რასაკვირველია, ინგლისის რუსეთის ოქროსთვის არ იცნობს იურიდიულ მნიშვნელობას. ინგლისი მხოლოდ აღიარებს რუსეთს ლონდონიდან რამდენიმე დროვნ გარდაწერ: ოქროს გამოხვრების. ასეთი კავშირი კრასინს საფიქრალიანად არ მიაჩნია და მატიდ პესიმისტური აზრი გამოსთქვა რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულობაზე.

ტერორი ისევ ძლიერდება.

გაზეთ „ეხო დე პარი“-ს ცნობილებით, მცირე სიმშვიდის და ეყუდრების შემდეგ საბჭოთა რუსეთში ტერორი ისევ ძლიერდება. განსაკუთრებით სტაქვეურ ხასიათს ღებულობს ბოლშევიკების მიერ დახვრეტა-დაპატიმრება შემდეგ გუბერნიებში: თაროსლავში, ყაზანში, სამარაში, კურსკში, სიმბირსკში და სარატოვში.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი.

თანამშრომელმა მოსკოვიდან მოსული ცნობებისა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლათ ბერლინში ასახელებენ კრასინს.

საბჭოთა მთავრობის დეკრეტი.

„ტანი“ იუწყება: საბჭოთა მთავრობის დეკრეტით გამოცხადებულია, რომ ყველა ის გაფიცული მუშა, რომელიც არ დაემორჩილება დეკრეტს და არ გამოცხადება სამუშაოზე დატესაღებლი იქნება 5 წლამდე და მათ ოჯახებს წეგრთმეყით ულუფაო.

დ. მერეჟკოვსკის წერილის გამო

რუსეთის საკითხი დღეს უსწორ-მასწორო სიგრძით და სიგანით წამოიჭრა კაცობრიობის წინაშე.

რუსეთი უკიდურესობის ქვეყანაა.

რუსეთი ორ პოლუსზე სდგას.

ან უნდა სრულიად დაიღუპოს ან არა და დაიღუპოს.

რუსეთის გულს ეძინა. მას დიდი კეთრისნი დასცეს თავს და შეინძრა და გამოიღვიძა და როგორც დათვი მუხლებიდან ისე შეიმტრუა თავისა ბალანი და თავისი ტლანქი ფეხით რაც წინ დახვდა მირეკ-მორეკვა:

რუსეთი უნდა აღსდგეს თვის საზღვრებში რეკრეოლუციის ხანაში ყოფილ ტერიტორიაზე! ატყვიან ბევრნი.

მაგრამ რუსეთი უნდა აღსდგეს მხოლოდ თავის პირველ-ყოფილ საზღვრებში.

მეტი ჯერ არა არი.

რუსეთი სასტიკად დამარცხდა და თავის იმპერიალისტურ გულის ზრახვებებზე გადაკრით ხელი უნდა აიღოს.

და აიღებს კიდეც ხელს. ამ ხახთან მიიყვანს თვით ეკიპაჟი, ისტორია და ცხოვრება.

დამთხზილითებელი მაქსიმე გორკის და მისტერ უელსის მიწერ-მოწერები. ბოლო დროს ხშირად დ. მერეჟკოვსკიც ეს ფანტაზიის პატრიოტი, რომელიც სასტიკად განიცდის რუსეთის ჭრილობებს და გრანობს რუსეთის „ბავშს“.

დ. მერეჟკოვსკი აბრალებს მაქსიმე გორკის. გორკი ბალშევიკებზე უარესია. ბალშევიზმი გაბარწვნა რუსეთის სხეული. გორკიმ გაბარწვნა რუსეთის სული. ლენინი-რუსეთის თვითმყოფადი.

გორკის უნდა დაიცვას რუსეთის კულტურა და გადაარჩინოს მარბაროსებისგან.

მაგრამ თითონ ნაიფლო ბალშევიკების მონაცემი. ან უკეთ რომ ვსთქვათ, ჩაიარაკის მისი სული და ჯვარზე გაკარეს.

მერეჟკოვსკის სწვამს უელსის მატემატიკური ბაზებით განსაზღვრული ფილოსოფია. ურიგდება უელსის ევრეილურ ფანტაზიას, მაგრამ ვერ ურიგდება უელსის აზრს. ბალშევიზმი ეზიარება რუსეთს!

ამას ვერ გაკნობს დ. მერეჟკოვსკი. ვერ გრძნობს მატომ, რომ მერეჟკოვსკიმ კარგად იცის და გრძნობს რუსეთის ბუნებას. უელსისთვის რუსეთი უცხოა, მერეჟკოვსკისთვის კი—დედაა.

და ასე ეკითხება მერეჟკოვსკი უელს: იცით რა არის ბელშევიკი?

ესენი არ არიან დემიანები, არც პირუტყვნი, არც თუ ეშმაკნი.

ესენი არიან მარსზე მცხოვრებნი. სულ სხვა პოლუსზე ქვეყანი.

ეს ხალხი პლანეტიდან ჩამოვიდა ძარა—დედამიწაზე და ბატალია რუსეთი.

ამ პლანეტაზე ბალშევიკების გამარჯვება იქნება მთელი ქვეყნის დამარცხება. დამარცხება კი გამარჯვებაა.

ეი პოპულება.

აქ არის ამოცანა.

და გამოსაცნობია თვით რუსეთი.

რუსეთმა იცის ბევრი დიდი ნიჭი. ხალხის წიაღში დაბადებული, აღზრდილი და განვითარებული.

რუსეთის ხალხს თუ არაფერი ჰქონდა, ჰქონდა მაინც ხელოვნება, სულიერი კულტურა.

სულიერი კულტურა აგრე ადვილად არ გაყოლტება. იგი იბსნის ხალხს განსაცდელისაგან.

ისტორიამ ვერ წაუსვამს ამ დარღს შავ ხაზს. ხალხს, როგორც სულიერი კულტურა გამდიდრებული აქვს დამძიმებულ ტანჯვით —მომავალი აქვს.

ბევრს გონია, რომ რუსეთი სრულიად აოხრებული დედამიწაზეა.

რუსეთი დანაწილდა და [illegible]

ეროვნულ სხეულის შეაზე გაგლეჯას.

— მაგრამ, პირიქით, მე ამაში ვხედავ რუსეთის გულის გამოეულას.

ბალშევიკის ჭრილობა არიან. ჭრილობა გადასწყვ ეფესში შეეღრი დინის ტიძარი და შეჰპილწა სიწმინდე.

ბალშევიკმა უფრო ღიად სამსეე ჩაიდინეს. მთელი რუსეთი მორწყეს წითელი სისხლით და ჩამოთალეს რუსეთს ზედმეტი სხეული.

მათ ბატალიას მთელი „რუსი“.

მაგრამ შეინც ბალშევიკი „რუსის“ სხეულა ვერ წაშალეს.

„რუსი“ ისევ დარჩა მხოლოდ პირველ ყოფილ საზღვრებში.

და ამ საზღვრებში უნდა აღსდგეს რუსეთი.

ბალშევიკებმა „კარგი“ სამსახური გაუწიეს „რუსს“.

რუსეთი იშვება ახალი სახით.

ნამდვილი სახით.

და ეს იქნება ნამდვილი რუსეთი

ვ. ჭ.

ახალი ამბები

◆ **ხეების აღწერა.** ტფილისის ქალაქის თვითმართველობაში და ეროვნთა კავშირში შეტანილ იქნა შემდეგი შინაარსის განცხადება: ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისში, რომელიც არც ისე მდიდარია თავისი ბაღებით, უმოწყალოთ ამაღდებიენ ხეებს. სახლის მეპატრონენი შეშისათვის ასწრაფენ ხეებსა სჭრიან. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ყოველდღეს მიეჭეცეს ამ მოვლენას და ზომები იქნას მიღებული ხეების ბოლო წინააღმდეგ. ამ მიზნით სურვილი იქნებოდა, რომ სახლის კომისტეტებისათვის დაევალებიათ: ა) ქალაქში არსებულ ყველა ხის ერთ დღეში აღწერა და ბ) ვინ სასტიკი პასუხის-მგებლობით თვალყური ედევნებიათ, რომ ქალაქის თვითმართველობის ნებართვის გარეშე ხეები არავინ მოჭრას ხეები და ამა თუ იმ მოსახლეობით არავინ შეიმეჩნიოს ბაღები.

◆ **წითელ ჯვარში.** ამერიკელ წითელი ჯვრის წარმომადგენელი ბ. დევისმა ქვირის თებერვალს 8 დაათვალიერა წითელი ჯვრის დაწესებულებანი, რომლებმაც მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. დღევის წითელი ჯვრის მთავარ სამმართველოს ბაირიდა ფულებთა და სურსათ-სანოვაგის მიეცემთ დახმარების აღმოჩენას.

◆ **პური ბეგოვატთათვის.** თებერვლის 8 ქალაქის თვითმართველობაში მოსდა ქალაქის თვითმართველობის და სასურსათო კომისიის წევრთა ვაერთიანებული სხდომა, რომელზედაც განიხილეს ქალაქის მოურავ ბ. ჩხეიძისშვილის მოხსენება პურის კრიზისისა და პურის ფასის თათბირის შემდეგ დადგინეს: 1) აღწეროს თვალისაზრისი არსებული ყველა პურის საცობი იმ მიზნით. რომ პური ვაჭრობა მხოლოდ იმ ბუდეებეს. ეს რეგისტრაცია გამოწყვეული იმით, რომ პური ვაჭრობა მხოლოდ ბეღლებიდან აძეროებენ პურს. 2) ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას გამგე ქ. ფანივეს გადაეცეს სათანადო თანხა თვალისის მცხოვრებთათვის დასარიგებელ პურის შესასყიდად.

◆ **ქალაქის ხმარებაში.** პარასკევს, თებერვლის 16, უკანასკნელად შეხდება ძველი ზემადგენლობის ქალაქის საბჭოს წევრთა სხდომა.

◆ **სანვიო-მრეწველობა.** თებერვლის 9, საავადო სამრეწველო პალატაში შეხდა საქართველოში ნავთის დამუშავების ორგანიზაციის მომწყობის თათბირის სარედაქციო კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა მთავრობასთან დასადებ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ნავთის მრეწველობას ორგანიზაციას შეეხება.

◆ **ეროვნული მუზეუმი.** ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო თათბირმა დაადგინა: ხელახას შეიმდგომლობა სააღმო განათლების სამინისტროს წინაშე მიბმილითების მოსაწყობად სათანადო თანხის გადადების შესახებ, მიბმილითების მოწყობა მიეწერა მეზეუმის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიურ განყოფილების გამგე პროფ. ჩუბინაშვილს.

— ამ ახლო ხანში ეროვნული მუზეუმი გამოაცემს „საქართველოს ეროვნულ მუზეუმის მუშაობებს“.

ამ დღეებში სახალხო განათლების მინისტრმა და მისმა ამხანაგმა დაათვალიერეს მუზეუმის ყველა შენობა.

— მუზეუმის სამეცნიერო კომისიამ მიმართა სახალხო განათლების მინისტრს

შეამდგომლობით 10 მილ. მანეთის გადადების შესახებ, ეს თანხა საჭიროა მეზღვეების შენობის დასამთავრებლათ.

პირველი ქართული ბუხჩალტრის კურსები. სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული პირველი ქართული ბუხჩალტრის კურსების ალ. სათაშვილისა წელს დაამთავრებს პირებმა: ციმბინო ქ. ი., ქუთათელიძე ი. პ., ბაზხიტე დ. პ., სუბიშვილი ი. პ., მამულაშვილი მ. ნ., გოცირიძე მ. გ., კობოძიძე პ. ი., კენჭიაშვილი ე. მ., გოგვაძე ბ. ნ., წითირიშვილი გ. გ., სარჯველაძე თ. ე., გოქაძე ბ. ნ., ოკუმბაშვილი ნ. ა., ბახტაძე ი. გ., ჯალღნანია ა. ე., ნასყიდაშვილი ი. ა., ხუციშვილი მ. ხ., ხუციშვილი დ. ხ., იმედაძე ზ. ფ., სვანიძე ნ. ი., ჯიქია ხ. ა., ვარახაშვილი. ი. დ.

შრომის სამინისტროში.

ევროპისა და ამერიკის ფინანსიურ ეკონომიური მდგომარეობა

თებერვლის 1-ს ერობათა კავშირს მოძარა გების სამინისტროს შემდეგი შინაარსის ტელეგრი გააგზავნა:

„ამით გაიგზავნეთ, რომ ჩვენ მოვიღეთ ცნობები, რომლებიც რამდენიმე ასეულათებენ ევროპისა და ამერიკის სიღრმეში მდგომარეობას. ამ ცნობების მიხედვით ევროპისა და ამერიკის სამეურნეო ცხოვრება ნახევრად გაყინულის პროცესში იმყოფება და მძიმე კრიზისს განიცდის. ნელი სტაბილის მოთხოვნილება თითქმის სრულებით არ არსებობს ისე, როგორც არ არსებობს მოთხოვნილება მოხმარებულ საქონლისა. ნედლი მასალის ღირებულებამ ან უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში კატასტროფიულად დაიწია: მაგალითად, ამერიკაში ბამბის ფასმა 25—20 პენსიდან (ინგლისურ გირვანქაზე) 8—12 პენსამდე დაიწია. თითქმის ორათითარი მოიხმარებიან აღ არის მატყლზე: დაიღო სულ ცოტა სავაჭრო პირობანი, რომლის მიხედვითაც ერთ ინგლისურ გირვანქაზე ავსტრიულ მატყლს ხუთ პენსად ყიდულობენ. ბრიტანეთის პარკის ფასმა კილოზე 80—90 ფრანკიდან 35—40 ფრანკამდე დაიწია და ყიდულობენ მაინც ან არის. ფასის დაცემა ემჩნევა ავრეთვე ლითონსაც და ნაბშირს. ტექსტილის ავრეთვე საქონლის გადაზიდვის ფასი, თუ 1920 წ. ამერიკიდან სახელთა ზოგადობა „კიენარი" ბათუმამდის მცირე ბარგის დადასტანით 7—8 გირვანქას მოითხოვდა, ამ ჯამად 4½—5 გირვანქას მოითხოვს.

მრეწველობის მდგომარეობა შემდეგნაირია: ინგლისის საწარმოო დაწესებულებათა 4% გაჩერებულია, 3% კი კვირაში მხოლო ოთ დღეშია. იტალიის ბრიტანეთის მრეწველობის 15% გაჩერებულია. საფრანგეთიც ამავითი მდგომარეობა არის. გერმანიის მრეწველობის ზელს უშლის და აღარ ჰპს საკუთარი საქონელი, და საქონელი განსაკუთრებით რკინის ჯართისათვის საჭირო, შეკეთილი აქვს დიდ ხანს წარმოო დაწესებულებათ. ის პირები, რომელთაც დამოგვაცილეს ცნობები დარწმუნებული ვარიან, რომ ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ამერიკაც და ევროპაც ერთ შესანებს განიცდის და ეს ერთი და იგივე მიზეზი მგალობელივით და მდინარე ი. კანდელაკი. კრების გახსნისას მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ფოროდნოვს გაეგზავნა შემდეგი მისალოცი დეპეშა: „ახლად დაარსებული საქართველოს პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული საზოგადოება „მეურნეობ" წუთითა პირველი სიტყვა კრება, რომელიც გაიმართა დღეს თელიანში, მუშათა სასახლეში, დაბალ მოსაწვეთა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე; გესალმები თქვენ და მხურვალედ გილოცავთ თქვენი შეოხების ჩვენი ერის ღირსად გამოჯანსაღების, რაც გამოიხატა ამ დღეებში მისი დამოუკიდებლობის ოფიციალურად ცნობაში. კრების თავმჯდომარე ეგ. მგალობლიშვილი".

შემდეგ დროებით გამგეობის თავმჯდომარემ გაიცნო კრებას სახოგადოების წარმოშობის ისტორია და მისი მიზანი, რომელიც გამოიხატება საქართველოში ერთი ფართო და მოლიანი სასოფლო-მეურნეობის წარმოებაში სახოგადოო და კერძოო კი ტფილისის მიდამოებში, ბორჩალოში და ყარაიაზში მთავრობისაგან საფოსტო მიწების ალებაში და დამუშავებადათესვაში, რომ მომავალში მაინც უზრუნველ ჰყოს თავისი წევრები ნივთიერად მტკიც შეავწროებულნი სხვა და სხვა დარგის მეშა-მოსამსახურენი სურსათსანოვაგით, და ამით შეეშველებოდეს მათ ის მტკიც გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც ისინი ჩაეყენნა დღეს გამეფებულმა სანაძლო კრიზისმა.

ამის შემდეგ კრებამ დაიდგინა პირველ ხანებში მოკიდოს ხელი ბორჩალოს მაზრაში და ტყდნისის მიდამოებში უკვე აღებულ მიწის დამუშავებას, როგორც წევრთა, აგრეთვე დაჭრილებულ შრომით. მაგრამ, ვინაიდან დღევანდელი ს-ძიერისა გამო, მიწების დაძენა-ვება ძვირი ჯდება, ამიტომ კრებამ საჭიროდ მიიჩნია ეს ამისთვის ოცი ათას ხანებზე, რომელთაგან პირველი ათი ათას მანეთი უნდა შემოტანილ იქნეს ჯერელ მარტამდე, მეორე ათი ათასი კი მიმდინარე წლის ბოლომდე ყოველ თვეურად და ათრთვე წევრთა გამეორებას აიღოს სესხი წევრთა პასუხისგებების ფარგალებში და ან.

დასასრულ გამგეობის და სარეეზორო კომისიის წევრთა არჩევნები მოხდა. გამგეობაში აირჩიეს: პრომყნ. ბაზხიტე ლომპარაშვილი, ეკ. მიხეილ ზგალობლიშვილი, სეკ. კვაქიძე, აგრონომი იპოლიტე ანთაძე, დაბალ მოსამსახურეთა კვეშრის თავმჯდომარე დავით თოდგერიძე, მიხეილ ლილუა და კ. ლაბაური. კანდიდატებად: ეკ. ევგენე შალამბერიძე და ეკ. ელიაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად: ეკ. ნაკოლოზ ფოფხაძე, პლატონ ლეკვეიშ და ვარლამ ჯობაზიძე, კანდიდატად ეკ. ოდ. შარაძი.

„ესენაირათ ამ ახლად დაარსებულ სამპატიერ სახოგადოებას, რომ ის ყოველთვის დღეგრძელი, შემოქედობის თავის ირგვლივ ჰყვნ მეშა მოსამსახურენი და გაეწიოდეთის მათთვის თავის დახმარების ხელი.

ძალიან სახურველი იქნება, რომ ჩვენმა გაჩინოვნიკებულმა აგრონომებმა და სხვა დარგის სპეციალისტებმა ამ სახოგადოების ირგვლივ მოიყარონ თავი და თავის ცოდნა-გამოცდილება მოამბარონ მას; მეთვრობაც უეჭველია დიდ დახმარებას გაუწევს იმ საქმეს, როგორც სესხით, აგრეთვე მიწის, სამუშაურენ იარაღების და თესლეულობის დათმობით.

ხევ. ჯაველიძე.

ყალგი გონების მგეჭდავთა შეკურება.

ტფილისის სისხლის სამართლის მოუქციამ შეიპყრო მთელი ჯგუფი ყალბი ბონებისა მწეჭდავთა და ბონების მიმეჭდავი ნიკოლოზის ქეჩ. სახ. № 112. თებერვლის დღის 12 საათზე მწყობად იმ დროს, როდესაც მანქანაზედ მუშაობდნენ, მეჭდავდნენ ყალბ ბონებს. სისხლის სამ. მილიციის უფროსმა ამ საქმის წესიდან შემდეგი მოსხენება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრს:

ერთ კვირის წინეთ მივიღე საიდუმლო ცნობა, რომ ბაზარზე გაჩნდა ყალბი ათასი მანეთიანები საქართველოს რესპუბლიკის და ერეენის სახელმწიფო ბანკის ნეკეტის ხუთი ათასი მანეთის ღირსებისა. მე მივანდე ერთ პიროვენებს, რომ გაეგო დაწერილებით ყოველივე იმ საქმის გარშემო, რომელზეც რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ მომახსენა რომ მან შესძლო სრულიად დაადგინებინათ პირი, რომლებიც ზეშეიწნენ ყალბ ნიშნებს, და რომლის მერაჯიათ თელეშვილი ვინმე ბათლომე გრიგოლის ძე ჯაბეიანები და ლტოდენტი ვარიან ვასილის ძე შერმანბანოვი გვიგე აგრეთვე რომ ამბეჭდავი ბანქანა ნიკოლოზის ქეჩ. სახ. № 112 სამი დღის წინ მე თვითონ ღამით გადაცილი ტანსაცმელით ყოფი აფცალობრივ და შეეისწავლე ადგილის მდგომარეობა. ჩემმა გაზვენილმა კაცმა, რომელსაც ეს ცნობები მოუჭონდა, თეებერვლის 8-ს მოეტანა და ეჩვენებინათ ჩემთვის ოთხი ცალი ყალბი ათას მანეთიანების საჩერთველოს ბონებისა, რასაც დაესწრო სოლეკ სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ეკიშნაძე და რაზედაც 8 ამ თებერვალს ხსენებულ პროკურორის ამხანაგის თანდასწრებით შეეყენეთ სათანადო ადგილის ორ ოთხ (4) ცალ ათას მანეთიანზე. ერთი კუთხეში დავსვი ასო პ. წინასწარ მოვიღებარკეთ რომ დღეს 9 ამა თებერვალს დილის 11 ნახევარზე, ჩემ აგენტს ეუანაე გვიკრუნველნა ის ოთხი ცალი ათას მანეთიანი ვისაგანაც მიიღო მასთვის. ასეეე მოხდა, ეროვნის მოედანზე აღნაშნულ დროს ჩემმა აგენტმა უკანე გადასცა ჯგუფიანებეს თავი ათას მანეთიანები, რამოდენიმე წამის შემდეგ ჯგუფიანები დავაპატიმრეთ. ხსენებულ აგენტს თან ეწყრო პროკურორის ამხანაგი. ჯგუფიანეეს ჩხრეკის დროს ზედვე აღმოაჩნდა ორი ხუთი ათასი მანეთიანები სომხეთის, ჩეკების ოთხი ცალი ათას მანეთიანები ნაშნით ასო „პ" და სხვა საბუთები, დამამტკიცებელი იმის რომ ჯგუფიანეეს აქვს რაიმე საერთო ყალბ ბონების დამზადებლებთან. ჯგუფიანეეს ბინაზე ჩვენის განკარგულებით გაგზავნილ იქნა აგენტები ბინის გასაჩხრეკად, მე კი გავემგზავრე ნიკოლოზის ქეჩ. სახ. № 112 შვედი ეზოში მივდექი და რა ოთახს, რომელის ფანჯარიდან შენიშნე მანქანა და მოძრაობა გარკვეული დავინახე თუ როგორ მოცეოროდა ქალალდის ფურცლები მანქანის დაზგიდან და შემოშენენ ის, შევაჩნიე რომ რაღაც ქალალდი ჩაიგდეს აქვე ღუმელში და თანმყვის, მე ქვრქის სახელოში შეხვეული ხელით შევიტანე ფანჯრიდის მინა და აგროვე ჩემ მხლებელმა აგენტმა და იარაღით იძულებულია ვიყავით რომ დღეიდანვე არ დაარულიყენენ შიგ მოშუშვენი, ამ მოქმედების დროს მსუბუქათ დაიჭრა ფანჯრის მინით ჩემი მხლებელი კეთილარი. შევედი რა ოთახში ალმოვაჩინე მთელი ეწსაედეია ხადაც დიდი ძალი ჩაეები იყო ახალი დაბეჭდილი ხუთი ათას მანეთიანები ეროვნის, სახელმწიფოს ბანკის მხოლოდ დაუმთავრებელი მანქანა ამოძრავებული იყო—სამუშაოთ და მის გარშემო მუშაობდენ შერმანბანოვი, ტერ-მიხაილოვი და ვართანოვი, ამ ოთახის გვერდით აღმოჩნდა ერთი ოთახი სუფთის სახით სხვა და სხვა ქალალდებისა და ფაშელებით სავსე, ეს მოხდა დღის 12 საათზე, სადაც ჯგუფიანეის ბინაზე აღმოჩენილ იქნა მრავალი ორიგინალები, ათას მანეთიანებისა ნაშეშებით, საღებავებით და სხვა. აგტორეეზეტიებები. ამ საქმეზე შეპყრობილები არიან ჯგუფიანები და ტატიანტერი ვართან შერმანბანოვი, როგორც ხელმძღვანელები და აგრეთვე ვართანიანეი, ტ. შერმანბანოვი ვასილი და ტერ-მიხაილოვი ლევანი ყველანი დანაშაულში გამოცყენენ. მათმა ხელმძღვანელმა ეეკიანაკლიმა განაცხადა რომ ოცი მილიონი ეროვნის ქეჩის აქ ერთი თვის წინ დავებეჭდე, რომლებიც უკვე გასალია, ამ საქმის გარშემო კვლევა-ძიებას აწარმოებს ადგილობრივ ქეჩ. 112 სავაჭეთო საქმის გამომძებელი ივ. შარაეიანი. მილიციის მიერ წინასწარი გამოძიება სწარმოებს ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ. საქმის დამთავრებისთანავე შეეხება პატივი დაწერილებითი ყოველივე მოვახსენოთ.

ამასთანავე დავსძენ რომ როგორც ზემო მოვახსენეთ ამ საქმის შესახებ პირველიდანვე ვმუშაობდი პირადათ მე და ჩემი ფარული აგენტეი, რაც შეეხება უკანასკნელ ცდის ბოროტ-მომქმედთა შეპყრობაზე და მანქანის აღმოჩენაზე, როგორც აღმსახურებელი ძალა თანამშრომლობას მიწევდნენ ჩემი თანაშემწე ლორთქიფანიძე, უფროსი აგენტები: ჯუბაბარია, ბადიაური, დოლიძე; უნტერსახი პილიციელნი: ქემეთარია, ნიკოლაიშვილი, გოგოლაშვილი, ქუთათელაძე და გურაბანიძე.

დედანს აწერია: ეკ. მეტრიკაძე" ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ს. ვაჭლიანი.

დედანთან სწორია ფინან. სამ. საკრედიტო ნაწილის საქმის წარმოებელი ვ. ცე ხანაძე.

წესება

სამეგრელოს სავაჭრო - სამრეწველო ბანკისა.

(შეკრ.-ბანკ.).

II. ბანკის ოპერაციები.

დ) გადახდა ფულისა სპეციალურისა და სახელგარგარეგ ან ქალაქებში, სადაც ბანკის განყოფილებანი, კომისიონერები და კორესპონდენტები არიან შესაე პირთა ან დაწერილებულებათა ანგარიშით იმ პირობით კი, რომ ეს გადასახდელი ფული წინდაწინვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავსებით ან ნაწილ ფულით, რომელიც უნდა ირიცხებოდეს ბანკში იმის მიმდინარე ანგარიშზე, ვისთვისაც იხდის ბანკი, ან ისეთი უდაო ვალდებულებით, რომელის კეშე, თანახმად ამა პირგანიის ბ პუნქტისა, ბანკი იძლევა სესხისათვის დაწერებულ პირობათა დაცვით.

შენიშვნა. საგანგებო პატივ საცემ შემთხვევაში, ამ მეხლში აღნიშნული პირობით გარანტიდელი შეიძლება იყოს არა სრულად უზრუნველყოფილი, მაგრამ ეეეკველად გამგეობის ყველა დამსწრე წევრთა ერთხმივი გარდაწყვეტილებით და ს 17 აღნიშნული წესის დაცვით;

ე) გადაეზავნა ფულისა ყველგან, სადაც კი ბანკის განყოფილებანი კომისიონერები და კორესპონდენტები არიან;

ვ) ყიდვა და გაყიდვა შესაე პირთა ანგარიშით ყოველგვარ სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებისა, გირავნობის ფურცლებისა, აქციებისა და ობლიგაციებისა, რომელთა ტრანსა სავრთველოს რესპუბლიკაში ნება დართულია;

ზ) ყიდვა და გაყიდვა საკუთარსა, მონაცემებიდანაო, კერძო პირთა, დაწესებულებათა და სავაჭრო სახლთა ანგარიშით და წინდაწინვე განსაზღვრული საკომისიო სასყიდლის აღებაშეთი, იმ პირობით კი, რომ ბანკის მიერ ჰავრეულზე დაბარებული თანხა არ უნდა დემაკრატებოდეს ეეთ მეხეთედზე მის ძარითად თანხისას. და რომ ნოსხ საქონლისა, რომელიც ბანკს შეეძლება აყიდოს, ფიანსსიონ მინისტრის მიერ დამტკიცებულ უნდა იყოს;

თ) ყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშით და მონღობილობით ძვირფასი ლითონისა ზოდებად და მოჭრილ ფულად, ოქროს მისაღებ ასიგნავკების, ტრატებისა და გადასახრებელ ვექსილებისა, როგორც შინაგან საქირთველოს რესპუბლიკისა, ისე უცხო ქვეყნებისა;

ი) აქციტი და გაცემა გადასაპირებელი ვექსილებისა, ტრატებისა, აკრედიტივებისა და ფულის გარდასაგზავნი ბარათებისა ყველგან შინაგან რესპუბლიკა და სახელგარეგ, თანახმად ამა პარაგრაფის „დ" პუნქტი;

კ) მიღება შესანახად წინდაწინვე განსაზღვრულ სასყიდლის ღირებით ყოველგვარ პროცენტიან ქაღალდებისა და ავრეთვე ბაცემა ქრიან უშიშარ ბინათა (სეიფულ ჯაფთა) ანუ გაწყობილებათა ამავე ბინებში, ყოველგვარ ღირებულებათა შესანახად;

ლ) მიღება ფულისა, როგორც დემანდი, უვადოთ, განსაზღვრულ ვადით და მიმდინარე ანგარიშზე იმ პირობით, რომ თითოეული ფულის მიღების შესახებ ბაცემული ბილეთი უნდა შეიცავდეს თანხის არა ნაკლებ ისი მანეთისა.

მ) ყიდვა და გაყიდვა საკუთარ ანგარიშით სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებისა, აქციებისა, ობლიგაციებისა, რომლებიც მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილნი უნდა იყვნენ და რომლებზედაც შეიძლება დაიხარჯოს არა უმეტეს ძარითადი თანხის ნახევრისა;

ნ) ყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშით ობლიგაციებისა და გირავნობის ფურცლებისა, რომლებიც საადგილმამულო ბანკებისა, ერობებისა, ქალაქებისა და საზემეღნიერო საზოგადოებისა მიერ გამოცემული არიან და აგრეთვე მთავრობისაგან უგარანტიო აქციებისა და პაებისა, მხოლოდ გამგეობის ერთხმივ გადაწყვეტილებით და საბჭოს დადასტურებით და იმ პირობით, რომ ამ საქმეში გაღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ძარითადი თანხის ერთ მეხუთედ ნაწილისა.

შენიშვნა. ბანკს არ შეუძლია იყოდეს თავის ანგარიშით ისეთი პაეები, აქციები, ობლიგაციები და ვირანტიიანი ფურცლები, რომელთათვის ჯერ არავითარი ფული არ არის შეტანილი და რომელნიც ამიტომ ბირკვნებენ არ ტრიალობენ.

ო) გამოცხადება ბელის მოწერასა, საკომისიოდ, საერთო, საქალაქო და სახოგადოებრივ სესხებედ და ავრეთვე ამ აქციებსა, ობლიგაციებსა და გირავნობის ფურცლებზედ, რომელთა გამოცემა ნებადართული სქართველოში იმ პირობით, რომ არავითარი ბელის მოწერა უცხოეთის ქაღალდებ არ უნდა იყო გამოცხადებული ფინანსთა მინისტრის ნებადაურთველად.

შენიშვნა. ბანკს არავითარი შემთხვევაში არ შეეძლია თავს იდვას ბელის მოწერის წარმატებაში.

პ) დაგირავება საკუთარ პროცენტიან ქაღალდებისა სხვა სავრდო ფასებიანებით, და გადაგირავება იმავ ამ პროცენტიან ქაღალდებისა და საქონლისა, რომელიც თვით ბანკს მოეცია გირაოდ ანუ დაწესებულებათაგან, ამ უკანასკნელთა

თანხმობით; გადაგირიგება ხაჭინლისა სრულდება გოლანთია ქალაქის გათვალისწინებით წყარებით;

ქ) გაეცემა სესხისა ხელო ვექსელის ქვეშ (ე. ი. ვექსელის ქვეშ, რომელსაც ხელს აწერს მხრტო ვექსელის გამცემი), რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოფლის მამულის გირავნით თანახმად იმ განსაკუთრებული წესისა, რომელიც განსაკუთრებული 11 მაისის 1898 წლის კანონით (დამატება 9 შუხლისა, განყოფილება X სატრედიო წესდებისა, გაბ. 1903 წ.).

§ 14.

დაგირავება პროცენტიან ქაღალდებისა და სხვა მოძრავის საფლებით ყველა საჭიროებრ დაწესებულებათათვის მიღებულ წესით: ე. ი. ბანკის გამგეობისადში უბრალო გადაცემით ამ გირავთა, განსაკუთრებით ერთად, რომელსაც დამგირავებელი ხელს უნდა აწერდეს. განსაკუთრებით უნდა იყოს აღნიშნული, რომ თუ ვადაზე სესხი არ იქნება გადახდილი, გამგეობას შეუძლია გირავი გაყიდოს. თავის ზხრით გამგეობა აძლევს მსესხებელს გირავის მიღების მოწმობას. ამ მოწმობაში უნდა იყოს ნამდვილად აღნიშნული, რაში მდგომარეობს გირავი და რა პირობით არის სესხი გაცემული.

§ 15.

პროცენტის რაოდენობა და პირობები ვექსელის განაღდებისა, სესხის ან ავრთვეთ დებულთა და მიმდინარე ანგარიშთა განისაზღვრება ბანკის გამგეობის მიერ და დამტკიცდება საბჭოს მიერ.

§ 16.

ყოველ და გაყიდვა, წარმოებული ბანკის მიერ მესამე პირთა ანგარიშით და ყველა ნინდობრ ღონისძიებანი აღნიშნული მუ.18 ჯ-ში, სრულდება ბანკის მიერ წინდწინ გამგეობისგან განსაზღვრულ საკომისიო ასიფდლის ოდენით.

განცხადებანი

პუონდიდ შემოქმედის სავაჭროო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1920 წ. დეკემბრის 15-ს შემოსულია თხოვნა ქ. ფოთში მცხოვრების გიორგი პავლეს ძის მეფნარგაისა განქორწინებაზე მეუღლე ვალენტინა ივანე რიაბინკოვის ასულთან. მოსსენებელი მეუღლენი, მთხოვნელის განცხადებით, არიან დაქორწინებულნი 1911 წ. თებერვლის 11-სამთრის გუბერნიის ქ. სიზრანის ეკლესიაში. როგორც თხოვნაში აღნიშნულია, ვალენტინა მეუნარგაისა წასული ქ. ფოთიდან 1914 წელში ქმრის ომში ყოფნის დროს. მას შემდეგ არა აქვს მასზე არავითარი ცნობა. იმ განცხადების ძალით ყველა ვინც კი იცის ვალენტინა ივანეს ასულის მეუნარგაის საცხოვრებელი ადგილი. ვალდებულია აცნობოს ეს ორი თვის განმავლობაში პუონდიდ-შემოქმედის საეპარქიო სასამართლოს ქ. ფოთში.

451 3—2

დაიკარგა ტფილისის ქალაქის ლომბარდის ქვითანცია № 162048 500 მანეთისა. გადაშენებულად ჩაითვალოს. 493 3—2

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცნობებს, რომ სასამართლოს 1920 წ. ივნისის 2 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების ღება არ აქვს დასახული შეტანილია საეგისტრაციო წესხაში კლუბი „პორჯომის ჯხნები“.

0522 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. ივნისის 2-ის დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია ბორჩალო-ჯავახეთის მესაქონლეთა, მეცხვარეთა, მეცხენეთა საზოგადოება „ხალხი მკვებავი“. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მაისის 4 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია: სიღნაღის მაზრის ამხანაგობა „ზანაჭი“.

0592 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 25 ივნისის 1920 წ. დადგენილებით, შეტანილია საერთო-სამართლო ამხანაგობათა ნუსხაში.

0596 1—1

დაიკარგა ტფილისის ოლქის ლომბარდის ქვითანცია № 162048 500 მანეთისა. გადაშენებულად ჩაითვალოს. 493 3—2

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცნობებს, რომ სასამართლოს 1920 წ. ივნისის 2 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების ღება არ აქვს დასახული შეტანილია საეგისტრაციო წესხაში კლუბი „პორჯომის ჯხნები“.

0522 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. ივნისის 2-ის დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია ბორჩალო-ჯავახეთის მესაქონლეთა, მეცხვარეთა, მეცხენეთა საზოგადოება „ხალხი მკვებავი“. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მაისის 4 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია: სიღნაღის მაზრის ამხანაგობა „ზანაჭი“.

0592 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 25 ივნისის 1920 წ. დადგენილებით, შეტანილია საერთო-სამართლო ამხანაგობათა ნუსხაში.

0596 1—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი ნებედით ამისთვის სხვის ამდენშეთვის სახელზე. გადაშენებულად ჩაითვალოს. 549 1—1

ამით ვუცხადებ ყველა პირთ და დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ რაიმე დამოკიდებულება გარდაცვლილი კონსტანტე ივანეს ძე ნარსიის მამულებთან და ხაჭირებთან, რომ ამით ვატქვებ ჩემს მიერ მიღებულს ჩემი თანამეგრენის გიგორი ევგენტიძე ნარსიასთვის ჩამწერებელობას, გამოცხადებულს ტფილისის ნოტარიუს მაკაიანისად ოქტომბერს 1919 წ. რეესტრის № 8432-თ და ყოველივე ხაკრედი შესახებ ჩემს მეურვეობაში მყოფ ქონებისა მომმართონ მე, ნასამართლი 19 თებერვლის ქ. № 3. მეორე გარდაცვალებულის, ქ. ნარსიის ქონებაზედ ქვრივი ლიდია გაბრიელის ასული ნარსია. 531 1—1

ამით საყურადღებოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების 25 ივნისის 1920 წ. დადგენილებით, შეტანილია საერთო-სამართლო ნუსხაში, წესდება ბანკის საკრედიტო ამხანაგობის, დაარსებული ს. ბარანში.

0596 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების 25 ივნისის 1920 წ. დადგენილებით, შეტანილია საერთო-სამართლო ნუსხაში, წესდება ბანკის საკრედიტო ამხანაგობის, დაარსებული ს. შემოქმედში.

0596 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 10|28 მაისის 1920 წ. საქმე გარდაცვლების 2 ოქტომბერ 1919 წ. სუმბაღ და ვითის ძე დავითაძეს შინაურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დადგინა: სისრულეში მოყვანილი იქნას. 0548 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 21 მაისს 1920 წ. საქმე გარდაცვლებულის მიხეილ სოლომონის ძე ოქრომირიძის შინაური სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ ¦ დადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას. 0582 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 6|16 ოქტომბერს 1917 წ. საქმე გარდაცვლ. 8 ოქტომბერს 1916 წ. დავით ივანეს ძე ქანჩაველის ნოტარ. სასულ. ანდერძის დამტკიცების შესახებ დადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას. 0583 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 23—26 აპრილის 1920 წ. სჩქ. ყოველდღიურების 16 თებერვალ 1920 წ. ივანე პეტრეს ძე მიხაილოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას.

0587 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლო, სამოქალაქო განყოფილება, 301 და 309 კანონის მუხლის ძალით, 2 ივნისის 1914 წლის ამით აცხადებს, რომ გომეთი ევგენტინო ტომლის ანდერძ სამყოფილო სასამართლომ არ იცის, თანახმად გამრიელ დავითის ძის პარუნდაბეგოვისა სანიგანო გორის ევგენტინოსთან 26866 მან.-ზე ვალდებულება განსაცხადოს სასამართლოს კანცელარიაში ოთხი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების „სამართველოს რესპუბლიკაში“ თავისი მისამართი ქ. ტფილისში, ან უნდა დასასხელოს ის პირი, რომელთაც შეუძლიათ მის მაგიერად მიღონ სასამართლოს მიერ მის მიმართ გაგზავნილი ქაღალდები. თუ ის დადგენილება მის მიერ სისრულეში მოყვანილ არ იქნება, შესაძლებელია დანიშნოს სასამართლოს სხდომა და გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

0550 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლო იწვევს ემელიანე ეფიმის ძე გოეჩკის „გამოცხადდეს სასამართლოში ათი წლის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, ან აცნობოს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილი; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გოეჩკი, იქნება ცნობილი უკვალოდ დაკარგული, კანონში აღნიშნულ შედეგით. სასამართლო იწვევს, ყველას ვინც იცის რამე დასახელებულ გოეჩკის შესახებ, სად იმყოფება, ან მოკვდა თუ არა აცნობოს სასამართლოს. სასამართლო იწვევს ყველას, ვისაც მემკვიდრეობის უფლება აქვს დასახელებულ გოეჩკის შემდეგ განუცხადოს თავისი უფლება სასამართლოს ნაჩივნებ ვადაში.

486 1—1

დაიკარგა სამინაო დავთარი წითელი მთის და ანდრონიკაშვილის ქ. კუთხეში № 12—36 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ივანე სოლაშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს.

514 1—1

დაიკარგა უცდო პასპორტი ვასილი ცხტაძის ძე გოსტიაშვილის სახელზე, მილებული ტფ. პოლიციმეისტრის სამსართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 515 1—1

დაიკარგა პასპორტი ზაქარია ოსიებაძის სახელზე, მილებული ტფ. მდაბიო პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 517 1—1

დაიკარგა პასპორტი, მილებული ძირულის კომისრისაგან და სახელდო ბეგრადან გამოვსილულების მოწმობა, მილებული ტფ. სამხედრო ოლიციის უფროსისაგან—შალვა ივანეს ძე ქალაძისა სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 506 1—1

დაიკარგა უცდო პასპორტი ვასილი ჰაპიანის ძე ოსკანოვის სახელზე, მილებული ტფ. პოლიციმეისტრის სამართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 509 1—1

დაიკარგა დროებითი მოწმობა გასპარ ალექსანდრეს ძე იაკუბოვის სახელზე, მილებული ტფ. შიდიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 510 1—1

დაიკარგა უცდო პასპორტი შეკრისადგენ დაბისპანის ძე მისხრაშვილის სახელზე, მილებული რაქის მაზრის უფროსის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

518 1—1

დაიკარგა სამხ. ბეგრ. თავ. მოწ. № 6691 მიხეილ ალექსანდრეს ძე წითლიძის სახელზე, მილებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. გაუქმებულად ჩათვალოს. 521 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 97, მილებული დონის ოლქში მყოფ სამართველოს წარმომადგენლისაგან და „ობრანოე სეიდეტელსტვო“, გეორგი გურსის ძე ლუბავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

522 1—1

დაიკარგა პასპორტი № 93, ვლადიკავკაზის ოხუთველის მხრის უფროსისაგან 1915 წ. და სამხედრო ნუსხა, მილებული ოხურეთის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, იპოლიტე ნიკ. ჭყონაის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 533 1—1

დაიკარგა პასპორტი № 15, პაველ იოსების ძე გარეჩვაის სახელზე, მილებული ახალ სენაკის ერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

534 1—1

დაიკარგა შესასვლელი ბილეთი და პირადობის მოწმობა ანა ნადარეიშვილის სახელზე, მილებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 535 1—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 3 ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისაგან მილებული ართთის იაკობის ძე ოგანეზოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

520 1—1

დაიკარგა დოკუმენტი (პასპორტი და სხვები) ლევ ეფიმის ძის ბობროვიცკის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 519 1—1

სააქციო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონეებს ბაგრატ ალას ძე და ალექსანდრე გასპარის ძე არეთინოვებს დაკარგავდ ღვინის შეიძინის ნებართვა № 81 მილებული სააქციო სამმართველოს მიერ 1921 წლისათვის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 513 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მილებული ჩიბათის თემის გამგეობიდან და ნუსხა, მილებული ოხურეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და სხვა საბუთები კოსტა დავითის ძე სურგულაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 505 1—1

დაიკარგა გადასახადის მოწმობა № 99 ანა ქიტაშვილის სახელზე, მილებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 524 1—1

დაიკარგა პური ცხობელთა კავშირის საწერო წიგნაკი ერვნენ ყაზარის ძე სარჭაველიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 526 1—1

დაიკარგა უცდო პასპორტი № 93 სერგო (სარქისი) ავეტის ძე გეკასოვის სახელზე, მილებული ნუხის სამხედრო პოლიციის სამმართველოდან 1901 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 527 1—1

განცხადება

საქართველოს რკინის გზათა სამმართველო 22 თებერვალს 1921 წ. 12 საათზე დილით მოიწვევს შეკრებისგზის მონაწილეთაის მისალებად იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ იჯარით ბუფეტები და სავაჭრო ფარდულები შემდეგ სადგურებზე:

ტფილისში და სამტრედიაში (ცხელი საკმელების ბუფეტები და სავაჭრო ფარდული (სამტრედია).

გორში—ბაკურიანში, ბორჯომ-ბაღში და სოფელ-ურბანში ბუფეტები ცივი საჭმლების და სავაჭრო ფარდული (გორი).

ახტალაში და ახალ-დაბაში სავაჭრო ფარდულები.

განცხადებანი უნდა შემოტანილ იქნენ პირადად ან და გადმოგზავნილი ფოსტით. განცხადებას უნდა თან ახლდეს საქითაო ბანათი საწინდრო ფულის შემდეგი ოდენობისა: 50.000 მანეთი ცხელი საქმელების ბუფეტებზე, 25,000 მანეთი ცივი საჭმლების ბუფეტებზე და 10,000 მანეთი სავაჭრო ფარდულებზედ. საწინდრის ფული უნდა შეტანილ იქნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში. იმ შემთხვევაში, თუ წინადღეში შეკრებაზე მონაწილეთა მიმეიბა ამ თუ მ პირობების უარყოფილი იქნება, საწინდარის ფული დაუბრუნებელი დათ უკან. დაწერილი ცნობები შეკრებების შესახებ იძლევი ექსპლოატაციის ნაწილი 10 ს.—2 ს.-ძე დღისით—კრების გზათა სამმართველო იტოვებს უფლებას გაიცეს იჯარით ბუფეტები და სავაჭრო ფარდულები შემხედველობისმებრ ვ. ი. არა დიდ განცხადებულ ფასზედაც.

43 3—1